საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-6/7130
20/07/2023

7130-15-6-2-202307201433

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ [redacted] დეესკალაციის ოთახში კანონით დადგენილ ვადაზე ხანგრძლივი დროით მოთავსების ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა მსჯავრდებულ [redacted] საქმე, რომლის თანახმად, პატიმარი დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივად განთავსდა კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე.

ფაქტობრივი გარემოებები

მსჯავრდებული [redacted], რომელიც 2022 წლის აგვისტოში სასჯელს იხდიდა №6 პენიტენციურ დაწესებულებაში,[1] 10 აგვისტოს განათავსეს ამავე დაწესებულების დეესკალაციის ოთახში, რის შემდეგაც, მიუხედავად 72 საათიანი ვადის ამოწურვისა, შესაბამისი საფუძვლის არსებობის გარეშე, ისე, რომ საერთო ტიპის საკანში არ გადაუყვანიათ, დაწესებულების ადმინისტრაციამ მიიღო მისი დეესკალაციის სივრცეში დატოვების გადაწყვეტილება.[2]

მსჯავრდებულმა [redacted] [redacted] სახალხო დამცველის წარმომადგენელთან შეხვედრისას განაცხადა, რომ არ ჰქონია თვითდაზიანების მიყენების განზრახვა, ასევე, არ ჩაუდენია იმგვარი ქმედება, რაც შესაძლოა გამხდარიყო მისი დეესკალაციის ოთახში გადაყვანის საფუძველი. მანვე განმარტა, რომ დეესკალაციის ოთახში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში იყო მშვიდად, არავის მიმართ არ ჰქონია აგრესია, ასევე, არ ჰქონია

[1] მსჯავრდებულის [redacted] [redacted] ამჟამად განთავსებულია №3 პენიტენციურ დაწესებულებაში.
[2] №6 პენიტენციური დაწესებულების [redacted] ბრძანება მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ.

თვითდაზიანების მცდელობა. მსჯავრდებულისვე გადმოცემით, არასდროს მიუყენებია თვითდაზიანება და არც მომავალში აპირებს მსგავსი ქმედების ჩადენას.

ამასთან, მსჯავრდებულ [redacted] თქმით, №9 დეესკალაციის ოთახში, დახვდა სისხლის ლაქებით დასვრილი ლეიბი, რის გამოც გამოთქვა პროტესტი.

მსჯავრდებულის თქმით, 2022 წლის 13 აგვისტოს იყო მშვიდად, თუმცა, უსაფუძვლოდ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მისი დეესკალაციის სივრცეში დატოვების თაობაზე. მსჯავრდებული უარყოფს №6 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მიერ 2022 წლის 13 აგვისტოს №23/265533 პატაკსა და №239646/23 მოხსენებით ბარათში მითითებულ ინფორმაციას მისი მხრიდან აგრესიის გამოხატვისა და მუქარების შესახებ, რაც გახდა დეესკალაციის ოთახში განთავსების/დატოვების თაობაზე 2022 წლის 13 აგვისტოს №1113 ბრძანების გამოცემის საფუძველი.

როგორც მსჯავრდებულ [redacted] დეესკალაციის ოთახში განთავსების შესახებ შედგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, №6 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის, [redacted] 2022 წლის 10 აგვისტოს პატაკის საფუძველზე, ამავე დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა, [redacted] 2022 წლის 10 აგვისტოს მოხსენებითი ბარათით მიმართა [redacted] რის შემდეგაც, იმავე დღეს გამოიცა [redacted] მსჯავრდებულ [redacted], დეესკალაციის ოთახში განთავსების თაობაზე.

ხსენებული პატაკისა და მოხსენებითი ბარათის თანახმად, №51 საკანში განთავსებული [redacted], საკნის ცხაურიდან გადამახილით მოუწოდებდა დაწესებულებაში განთავსებულ სხვა მსჯავრდებულებს, რომ არ დამორჩილებოდნენ დაწესებულების დებულებით გათვალისწინებულ სარეჟიმო მოთხოვნებს, მიეყენებინათ სხეულზე თვითდაზიანებები და გამოეცხადებინათ მასიური შიმშილობა.

[redacted]ბრძანების შესაბამისად, მსჯავრდებული [redacted] იმავე დღეს განთავსეს დაწესებულების №9 დეესკალაციის ოთახში.

2022 წლის 12 აგვისტოს, მსჯავრდებული [redacted] გადაიყვანეს №13 დეესკალაციის ოთახში.

№6 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ სახალხო დამცველის რწმუნებულისთვის მიწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, ამავე დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის, [redacted] 2022 წლის 13 აგვისტოს პატაკის საფუძველზე, ამავე დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა, [redacted] 2022 წლის 13 აგვისტოს მოხსენებითი ბარათით მიმართა დაწესებულების [redacted], რომლის თანხმად, [redacted] კვლავ იმუქრება საკანში აყვანის შემდეგ ინვენტარის დამტვრევითა და თვითდაზიანების მიყენებით. დოკუმენტის თანახმად, მიუხედავად ამისა, 72 საათიანი ვადის გასვლის გამო, საჭიროა მისი საერთო ტიპის საკანში

გადაყვანა. აღნიშნულის შემდეგ, დაწესებულების [redacted] [redacted] [redacted] გამოსცა №1112 ბრძანება მსჯავრდებულ [redacted] [redacted] საერთო ტიპის საკანში განთავსების თაობაზე. თუმცა, იმავე დღეს, №6 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის, [redacted] №23/265533 პატაკის საფუძველზე, ამავე დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა, [redacted] კვლავ მიმართა დაწესებულების [redacted] №239646/23 მოხსენებითი ბარათით, რომლის თანახმად, 13 აგვისტოს, დაახლოებით 20:54 საათზე, მსჯავრდებული [redacted] [redacted] №13 დეესკალაციის ოთახიდან უნდა გადაეყვანათ მის საცხოვრებელ საკანში. დეესკალაციის ოთახიდან გამოსვლის დროს, ფლიგელში გადაადგილებისას, მსჯავრდებული გახდა აგრესიული, დაიწყო მუქარები, რომ საკანში შესვლისთანავე დაამტვრევს საკანში არსებულ ინვენტარს და მიიყენებს თვითდაზიანებებს. ამავე დოკუმენტაციის თანახმად, მიუხედავად არაერთი მოწოდებისა, რომ მსჯავრდებულის დამშვიდებულიყო და ასულიყო საკანში, არ დამშვიდდა და კვლავ განაგრძო მუქარა. ხსენებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დაწესებულების [redacted] [redacted] 2022 წლის 13 აგვისტოს გამოსცა №1113 ბრძანება, მსჯავრდებულ [redacted] [redacted] დეესკალაციის ოთახში განთავსების თაობაზე.

2022 წლის 15 აგვისტოს, №6 პენიტენციური დაწესებულების [redacted] [redacted] გამოსცა №1125 ბრძანება, მსჯავრდებულ [redacted] [redacted] საკანში გადაყვანის თაობაზე. ბრძანებას საფუძვლად დაედო ამავე დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორის მოხსენებითი ბარათი, რომლის თანახმად, მსჯავრდებული [redacted] [redacted] დამშვიდდა და იქცევა ადეკვატურად და შესაძლებელია მისი გადაყვანა საერთო ტიპის საცხოვრებელში.

მსჯავრდებულ [redacted] [redacted] დეესკალაციის ოთახში განთავსების ამსახველი ვიდეო კადრებისა და პირადი საქმის გაცნობის შედეგები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა, 2022 წლის აგვისტოში, №6 პენიტენციური დაწესებულების დეესკალაციის ოთახში მსჯავრდებულ [redacted] [redacted] განთავსებასთან დაკავშირებით დაარქივებული ვიდეო ჩანაწერები.[3] ასევე, გაეცნო მსჯავრდებულის პირად საქმეს და სამედიცინო ბარათს.

მსჯავრდებულის პირად საქმეში და სამედიცინო ბარათში არ მოიპოვება რაიმე სახის დოკუმენტაცია მსჯავრდებულის პატიმრობაში ყოფნის პერიოდში თვითდაზიანების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენელთან შეხვედრის დროს, მსჯავრდებულ [redacted] [redacted] სხეულის ხილულ ნაწილზე ახალი ან ძველი თვითდაზიანების კვალი არ აღენიშნებოდა. ხსენებული ინფორმაცია დასტურდება, ასევე, №3 პენიტენციური დაწესებულების მთავარი ექიმის წერილით, რომლის თანახმად: „მსჯავრდებულ [redacted] [redacted] სამედიცინო ბარათის ჩანაწერების თანახმად,

---

[3] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 2 სექტემბრის №258849/01 და №259089/01 წერილები.

თვითდაზიანების მიყენების ფაქტი პატიმრობაში ყოფნის პერიოდში არ ფიქსირდება..."[4] ამავე დაწესებულების დირექტორის წერილის თანახმად: „რაც შეეხება პატიმრობაში ყოფნის პერიოდში [redacted] მიერ პენიტენციური დაწესებულების ინვენტარის დაზიანების ფაქტებს, აღნიშნული ინფორმაცია მსჯავრდებულის პირად საქმეში მოპოვებული ვერ იქნა."[5]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ დაარქივებული ვიდეო კადრების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2022 წლის 10 აგვისტოს, მსჯავრდებულის [redacted] განთავსებული იყო №51 საერთო ტიპის საკანში. 21:25 საათზე მსჯავრდებული იყურება საკნის ფანჯარაში (ასულია გათბობის მილზე და სახით ცხაურისკენაა მიტრიალებული), თუმცა, სხვა პატიმრებთან ამყარებს თუ არა კომუნიკაციას და მოუწოდებს თუ არა მათ რაიმე ქმედებისკენ, აღნიშნულის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან საკნებში არ მიმდინარეობს აუდიო ხმის ჩაწერა.

20:29 საათზე, მასთან საკანში შედის დაწესებულების სამი თანამშრომელი, რომელებიც ესაუბრებიან რამდენიმე წუთი, რის შემდეგაც მსჯავრდებული მშვიდად მიჰყვება თანამშრომლებს და გადაადგილდებიან დაწესებულების დეესკალაციის ოთახების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ საკანში ყოფნის პერიოდში, დაწესებულების თანამშრომლებსა და მსჯავრდებულს შორის დაძაბულობა არ შეინიშნება, ასევე, საკნიდან გაყვანის დროს მის მიმართ არ გამოუყენებიათ ფიზიკური ძალა ან რაიმე სახის სპეციალური საშუალება.

21:41 საათზე მსჯავრდებული განათავსეს №9 დეესკალაციის ოთახში, სადაც, რამდენიმე წუთი ესაუბრება დაწესებულების ორ თანამშრომელს.

2022 წლის 12 აგვისტოს, 12:10 საათზე, მსჯავრდებული [redacted] აკაკუნებს ოთახის კარზე, რის შემდეგაც იღებს მისთვის განკუთვნილ ლეიბს და ახდენს წინა და უკანა მხარის ვიდეო კამერის წინ დემონსტრირებას, ამასთან, თითით უთითებს ლეიბის გარკვეულ ნაწილებზე. ვიდეო ჩანაწერებით, არ არის მკაფიოდ აღქმადი თუ რაზე უთითებს პატიმარი კონკრეტულად.

16:10 საათზე მსჯავრდებული №9 დეესკალაციის ოთახიდან გადაჰყავთ №13 დეესკალაციის ოთახში, რის შემდეგაც №9 დეესკალაციის ოთახიდან 16:15 საათზე სამეურნეო სამუშაოზე დასაქმებულ პატიმარს გააქვს ოთახში არსებული ლეიბი, ხოლო, 16:19 საათზე შეაქვს ახალი ლეიბი და დებს იმავე ადგილზე.

2022 წლის 12 აგვისტოს, მსჯავრდებულის №13 დეესკალაციის ოთახში გადაყვანამდე, 16:09 საათზე ამავე ოთახში შედის დაწესებულების ორი თანამშრომელი, [redacted] უფროსი და დაწესებულების [redacted] რომლებიც ამოწმებენ საკნის პირობებს, მათ შორის ონკანს და ლეიბს, რის შემდეგაც გადიან ოთახიდან.

---

[4] №3 პენიტენციური დაწესებულების მთავარი ექიმის 2022 წლის 27 თებერვლის №54334/01 წერილი.
[5] №3 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 6 მარტის №60839/21 წერილი.

2022 წლის 13 აგვისტოს, მსჯავრდებული [redacted], დეესკალაციის ოთახში იმყოფება მშვიდად, მისი მხრიდან არ შეინიშნებოდა რაიმე სახის მოქმედება, საუბარი, აღელვება ან სხვაგვარი იმ ტიპის ქცევა, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ადამიანის მხრიდან აგრესიის, აღელვებისა თუ რაიმე ტიპის მუქარის გამოვლენაზე ან ამგვარი რისკის არსებობაზე. მსჯავრდებული 20:56 საათზე №13 დეესკალაციის ოთახიდან გადაჰყავთ №9 დეესკალაციის ოთახში.

2022 წლის 13 აგვისტოს №6 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცრის, [redacted] №23/265533 პატაკისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორის, [redacted] №239646/23 მოხსენებითი ბარათის თანახმად, მსჯავრდებული [redacted], №13 დეესკალაციის ოთახიდან გაყვანის დროს, ფლიგელში გადაადგილებისას გახდა აგრესიული, დაიწყო მუქარები რომ საკანში შესვლისთანავე დაამტვრევს საკანში არსებულ ინვენტარს და შეეცდება სხეულის თვითდაზიანებების მიყენებას. მიუხედავად მათი არაერთი მოწოდებისა, რომ დამშვიდებულიყო და ასულიყო საცხოვრებელ საკანში, არ დამშვიდდა და მსჯავრდებულმა [redacted] კვლავ განაგრძო მუქარა.

ვიდეო ჩანაწერების გაცნობის შედეგად არ დასტურდება ხსენებულ დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია მსჯავრდებულის მხრიდან აგრესიულობის და დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან მის მიმართ დამშვიდებისკენ არაერთ მოწოდებასთან დაკავშირებით. დაწესებულების თანამშრომლები და მსჯავრდებული, №13 დეესკალაციის ოთახიდან გამოსვლის შემდგომ შეუჩერებლად გადაადგილდებიან №9 დეესკალაციის ოთახისკენ, რომელიც მდებარეობს №13 დეესკალაციის ოთახის მოპირდაპირე მხარეს და ფლიგელში გადაადგილება გრძელდება 4-5 წამის განმავლობაში. შესაბამისად, ვიდეო ჩანაწერის თანახმად, არ იკვეთება მსჯავრდებულის აგრესიული ქცევა ან სხვა სახის წინააღმდეგობა დაწესებულების თანამშრომლების მიმართ, ასევე, მოცემული დროის განმავლობაში, ფაქტობრივად შეუძლებელია პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებსა და მსჯავრდებულს შორის შემდგარიყო იმ სახის ვერბალური კომუნიკაცია, რაც აღწერილია №23/265533 პატაკსა და №239646/23 მოხსენებით ბარათში.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება განსაზღვრავს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელების სახეებს, მოსამსახურისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდებისა და მოხსნის წესს.[6] მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთი სახეა სამსახურებრივი

[6] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №144 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება, მუხლი 1.

მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება და მოსამსახურეთათვის დადგენილი ეთიკის ნორმების დარღვევა.[7]

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ოფიცრებისა და რიგითების ქცევის ისეთ სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება საჯარო ინტერესს.[8] კოდექსის მიზანია ისეთი ქცევის წესების დადგენა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსამსახურეთათვის პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას. სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალურ შესრულებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, საზოგადოებაში ნდობისა და პატივისცემის განმტკიცებას.[9]

მოსამსახურეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მას საზოგადოების წინაშე აღებული აქვს საჯარო სამსახურისათვის დამახასიათებელი ეთიკური ვალდებულებები.[10] მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ბრალდებულის/მსჯავრდებულის, სხვა პირების საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები.[11] მოსამსახურემ მასზე დაკისრებული ამოცანები უნდა შეასრულოს კანონის ფარგლებში, მიუკერძოებლად, ეთნიკური, რელიგიური, სქესობრივი თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე.[12] მოსამსახურის ხელმძღვანელი პირები ყურადღებით უნდა ადევნებდნენ თვალყურს, რომ მათი მოსამსახურეები სწორად ასრულებდნენ საკუთარ სამსახურებრივ მოვალეობებს. მათ უნდა გამოავლინონ და აღკვეთონ ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო ქმედება.[13]

ყოველი მოსამსახურე, მიუხედავად მისი ადგილისა სამსახურებრივ იერარქიაში, პირადად აგებს პასუხს თავის ქმედებებზე და იმ დავალებებზე, რომლებსაც ის აძლევს მასზე დაქვემდებარებულ პირებს.[14] მოსამსახურე, როგორც სახელმწიფო წარმომადგენელი, ვალდებულია წინ აღუდგეს აშკარად უკანონო ბრძანებას.[15]

მოსამსახურის მიერ კოდექსის მოთხოვნების დარღვევა ჩაითვლება სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევად.[16]

წინამდებარე საქმის ანალიზი

მოცემულ საქმეზე შეკრებილი ფაქტობრივი გარემოებების, დოკუმენტაციისა და დაარქივებული ვიდეომასალის შესწავლითა და ურთიერთშეჯერებით დგინდება, რომ N6

---

[7] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 2, ქვეპუნქტი „ა", „ე".

[8] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის №144 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 1, პუნქტი 1.

[9] იქვე, მუხლი 1, პუნქტი 2.

[10] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 1.

[11] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 2.

[12] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 4.

[13] იქვე, მუხლი 2, პუნქტი 7.

[14] იქვე, მუხლი 3, პუნქტი 3.

[15] იქვე, მუხლი 3, პუნქტი 4.

[16] იქვე, მუხლი 6.

პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცერმა, [redacted] და უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა, [redacted] დეესკალაციის ოთახში მოთავსების შემდეგ, მისი შემოწმების შესახებ დოკუმენტაციაში არასწორი ინფორმაცია შეიტანეს, რითიც შექმნეს მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში დამატებით 37 საათით განთავსების საფუძველი.

კერძოდ, ხსენებული პირების მიერ შედგენილ დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ თითქოს, 2022 წლის 13 აგვისტოს, მსჯავრდებული იყო აგრესიული ფლიგელში გადაადგილების დროს, იმუქრებოდა საკნის ინვენტარის დამტვრევით და თვითდაზიანებების მიყენებით, რის შემდეგაც არაერთხელ მოუწოდეს რომ დამშვიდებულიყო და ასულიყო საკანში, თუმცა მსჯავრდებული არ დამშვიდდა.

ვიდეომასალის შესწავლით უტყუარად დასტურდება, რომ თანამშრომლების მიერ მითითებულ კონკრეტულ დროებში, [redacted] მხრიდან არ იკვეთება არცერთი იმ ტიპის ქმედება (აგრესია, მუქარა, ჟესტიკულაცია და სხვა), რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს პატიმრის მხრიდან მომდინარე აგრესიაზე, აღელვებაზე თუ სხვისი ან საკუთარი ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხეზე. პირიქით, [redacted], თანამშრომელთა მიერ მითითებულ დროებში გამოიყურებოდა მშვიდად, დეესკალაციის ოთახში ყოფნის დროს იგი ან იწვა საწოლზე და სავარაუდოდ ეძინა, ან საწოლზე იჯდა, რა დროსაც, მისი მხრიდან არ იკვეთებოდა ქმედება/ემოცია, რაც დამკვირვებელ პირს აფიქრებინებდა მის აღელვებასა თუ აგრესიულობაზე. თანამშრომლებთან ურთიერთობის დროს კი მსჯავრდებული ემორჩილება მათ მოთხოვნებს და მითითებებს. ამასთან, მის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული ფიზიკური ძალა ან რაიმე სახის სპეციალური საშუალებები.

უფრო მეტიც, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს, 2022 წლის 13 აგვისტოს, ფორმალურადაც კი არ უცდიათ მსჯავრდებულის საერთო ტიპის საკანში გადაყვანა და №13 დეესკალაციის ოთახიდან, შეუჩერებლად გადაიყვანეს №9 დეესკალაციის ოთახში.

ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პატიმრობაში ყოფნის პერიოდში, არ ფიქსირდება მსჯავრდებულს [redacted] მიერ თვითდაზიანების ან დაწესებულების ინვენტარის დაზიანების ფაქტები.

რაც შეეხება, 10 აგვისტოს მსჯავრდებულის დეესკალაციის ოთახში პირველად გადაყვანის ეპიზოდს, აღნიშნული ღონისძიების გამოყენება იყო თუ არა საფუძვლიანი, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ამის ცალსახად შეფასება შეუძლებელია, ვინაიდან ვერ დგინდება პატიმრის ქმედებების სიზუსტე. კერძოდ, ვიდეო ჩანაწერების მიხედვით, მსჯავრდებული ასულია გათბობის მილზე და სახით მიბრუნებული არის ფანჯრის ცხაურის მხარეს, შესაბამისად, ვინაიდან პენიტენციური დაწესებულების ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო ჩაწერის გარეშე, ვერ დგინდება მისი ქმედების ვერბალური მხარე.

დასკვნა

წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ N6 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცერმა, [redacted] და უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა ინსპექტორმა, [redacted], დეესკალაციის ოთახში განთავსების შემდეგ, შესაბამის დოკუმენტაციაში [redacted] [redacted] მდგომარეობის შესახებ განზრახ შეიტანეს არასწორი ინფორმაცია, რითიც შექმნეს მის მიმართ შესაბამისი უსაფრთხოების ღონისძიების დამატებითი ვადით გაგრძელების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოთ დისციპლინური საქმისწარმოება N6 პენიტენციური დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების კორპუსის ოფიცერ, [redacted] [redacted] და უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ინსპექტორის, [redacted] მიმართ, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ [redacted] [redacted]ს დეესკალაციის ოთახში განთავსების დროს.

ამავე საქმისწარმოების ფარგლებში, გთხოვთ, გამოიკვლიოთ ის გარემოებაც, ხსენებული პირების მიერ აღწერილი ქმედება იყო თუ არა ჩადენილი ხელმძღვანელი პირების მხრიდან შესაძლო უკანონო დავალების მიცემის შედეგად.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი